ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 83

ქალაქი ქუთაისი 29 ივლისი 2026 წელი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024–2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის № 350 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბერს №350 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ლიდვარია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 83
30. 07. 2026

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 29 ივლისის
№83 განკარგულების დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
2024 – 2027 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები

№	საპროექტო წინადადების დასახელება	პროექტის საორიენ-ტაციო ბიუჯეტი
1.	ქალაქ ქუთაისში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის რეაბილიტაცია (V უბანი)	4,070,993.00
2.	ქალაქ ქუთაისში, მდინარე ოღასკურაზე საავტომობილო ხიდის მოწყობა (V უბანი)	278,006.00
3.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიასა და ირ.აბაშიძის გამზირებს შორის, ე.წ. „კიკვიძის“ სკვერის რეაბილიტაცია	1,957,776.96
4.	ქალაქ ქუთაისში, მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავისა და არქიტექტურის ფლიგელის დარბაზის რეაბილიტაცია	1,098,500.00
5.	ქალაქ ქუთაისში, ვ.კიკვიძის ქუჩის №33 საყრდენი კედლის მშენებლობა	993,661.00
6.	ქალაქ ქუთაისში, ვ.კიკვიძის ქუჩის №10 საყრდენი კედლის მშენებლობა	167,903.00
7.	ქალაქ ქუთაისში, ვ.კიკვიძის ქუჩის №12 საყრდენი კედლის მშენებლობა	97,391.00
8.	ქალაქ ქუთაისში, №14 საჯარო სკოლის მიმდებარედ მინი მოედნის მშენებლობა	70,759.00
9.	ქალაქ ქუთაისში, გ.შარვაშიძის ქუჩაზე მაგისტრალური ღვარსადენის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	273,805.00
10.	ქალაქ ქუთაისში, გ.შარვაშიძის ქუჩაზე ტროტუარებისა და სანიაღვრე ქსელის მოწყობა	372,704.00
11.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის №19, №21, №23, №25, №27, №32 და №44 მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	3,819,512.00
12.	ქალაქ ქუთაისში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	430,000.00
13.	ქალაქ ქუთაისში, ლეონიძის, აბაშიძისა და ბაგრატიონის ქუჩების გზის რეაბილიტაცია	844,004.00
14.	ქალაქ ქუთაისში, რესპუბლიკის ქუჩის გზის საფარის მოწყობა (დარჩენილი ნაწილი)	393,685.00
15.	ქალაქ ქუთაისში, ზ.გამსახურდიას გამზირის I ჩიხში გზის საფარის მოწყობა	134,268.00
16	ქალაქ ქუთაისში, იუსტინე ჯანელიძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	940,000.00
17.	ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირის №17ა, №19, №21, №23, №25, №27 და №29 მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	2,706,765.00

18.	ქალაქ ქუთაისში, ი.ჭავჭავაძის ქუჩის №1-1, №3ა, №6, №7, №9, №11, №13, №15 და №17 მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	2,798,345.00
19.	ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩის №19, №20, №21, №22 და №24 მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	2,646,580.00
20.	ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის V შესახვევის №7, №14 და №15 მრავალბინიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	1,112,007.00
21.	ქალაქ ქუთაისში, ს.მახვილაძის ქუჩის №19 მრავალბინიანი სახლების ფასადის რეაბილიტაცია	1,056,901.00
22.	ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩის №119 მრავალბინიანი სახლების ფასადის რეაბილიტაცია	349,002.00
23.	ქალაქ ქუთაისში, ერისთავის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1, 905,702.00
24.	ქალაქ ქუთაისში, ქანთარიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	579,138.00
	სულ	29,097,407.96

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიჭვარია